



საქართველო

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 374/14
„4“ 06 2007

დასკვნა

„საქართველოს მთავრობას, თურქეთის მთავრობასა და მოკავშირეთა ევროპულ ძალების უმაღლეს შტაბს შორის „(ადგილმდებარეობა საქართველოში)-სა და CRC ერზრუმს (თურქეთი) შორის საჰაერო ვითარების მონაცემთა გაცვლის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმის“ პროექტზე

საგარეო საქმეთა სამინისტრომ განიხილა: „საქართველოს მთავრობას, თურქეთის მთავრობასა და მოკავშირეთა ევროპულ ძალების უმაღლეს შტაბს შორის „(ადგილმდებარეობა საქართველოში)-სა და CRC ერზრუმს (თურქეთი) შორის საჰაერო ვითარების მონაცემთა გაცვლის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმის“ პროექტი და მის მიმართ გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნები და წინადადებები:

პრეამბულაში, ფრაზა: „საქართველოს ფედერალური თავდაცვის სამინისტრო“, შეიცვალოს ფრაზით: „საქართველოს თავდაცვის სამინისტრო“.

პრეამბულაში, ფრაზა: „(შემდეგ-„მხარეები““), შეიცვალოს ფრაზით: „შემდგომში მხარეებად წოდებულნი“.

პრეამბულის თითოეულ აბზაცში, ფრაზა: „აღნიშნავენ, რომ“, შეიცვალოს ფრაზით: „აღნიშნავენ რა, რომ“.

მიზანშეწონილია, მემორანდუმის პროექტის მე-9 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგ ორ მუხლად: პირველი: „ცვლილებებისა და დამატებების შეგანა“ და მეორე- „დავების მოგვარება“.

პრეამბულაში და შემდგომში მთელს ტექსტში, ურაზა: „შიდა კანონმდებლობისა და ნორმების მიხედვით“, შეიცვალოს ურაზით: „მხარეთა სახელმწიფოებში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად“.

მართებულად მიგვაჩნია, მემორანდუმის პროექტში ხელმოწერის პროცედურა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ურაზა: „საქართველოს თავდაცვის სამინისტრო“, შეიცვალოს ურაზით: „საქართველოს სახელით“.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სამხედრო ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულება იდება საქართველოს სახელით და ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რაგიფიკაციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია წარმოდგენილი ურთიერთგაგების მემორანდუმის დადება.

ნიკოლოზ ვაშაკიძე

მინისტრის პირველი მოადგილე





№ 07-04/5728
05.06.2007

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილა თქვენი 2007 წლის 28 მაისის №2/8564-14 წერილი, რომელიც ეხება საქართველოს მთავრობას, თურქეთის მთავრობასა და მოკავშირეთა ევროპული ძალების უძაღლეს შტაბს შორის "(ადგილმდებარეობა საქართველოში)-სა და CRC ერზრუმს (თურქეთი) შორის საჭაერო ვითარების მონაცემთა გაცვლის შესახებ" ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტს.

გაცნობებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმოდგენილი პროექტის მიმართ ფინანსური ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია. ამასთან, პროექტით გათვალისწინებული საქართველოს მხარის მიერ გასაწევი ხარჯების დაფინანსება საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ უნდა განახორციელოს მისთვის წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში.

დირექტორი გვინდაძე
მინისტრის მოადგილე





იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

№ 01/23/034921.
11.06.2007წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო


თქვენი მიმდინარე წლის 28 მაისის №2/8565¹⁷ წერილის შესაბამისად საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა „საქართველოს მთავრობას, თურქეთის მთავრობასა და მრკაუშირეთა ევროპული ძალების უმაღლეს შტაბს შორის (ადგილმდებარეობა საქართველოში)-სა და CRC კორუმის (თურქეთი) შორის საძაქრო ვითარების მონაცემთა გაცვლის შესახებ“ ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი და გაცნობებთ:

1. წინამდებარე მემორანდუმი უნდა დაიდოს საქართველოს სახელით – „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ მემორანდუმის პროექტი ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას. აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა შეიცვალოს პროექტის მე-8 მუხლის 8.1 პუნქტი.

2. მართებულია, მემორანდუმის პროექტის ტექსტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „შესავალი“.

3. მიზანშეწონილია, დაზუსტდეს, რომელი საერთაშორისო შეთანხმებები იგულისხმება პრემბულის მე-3 აბზაცში, ხოლო ფრაზა „შიდა კანონმდებლობისა და ნორმების“ შეიცვალოს ფრაზით „შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის“. ამასთან, აღნიშნული დებულება, მართებულია, პრემბულიდან გადატანილ იქნეს მემორანდუმის პროექტის მე-7 მუხლში, რომელიც ეხება გაცვლილი ASDE ინფორმაციის დაცვას.

4. პროექტის პირველ მუხლსა და შემდგომ ტექსტში უნდა განისაზღვროს „საიტის ადგილმდებარეობა საქართველოში“ და „ქართული სამხედრო ქაივის სახელი, რომელსაც ASDE დაუკავშირდება“.



5. მემორანდუმის პროექტის მე-3 მუხლის სათაურს წინ უნდა დაემატოს სიტყვა „მემორანდუმის“.

6. მიზანშეწონილია, პროექტის მე-3 მუხლის 3.3 პუნქტს წინ დაემატოს ფრაზა „წინამდებარე მემორანდუმის“.

7. პროექტის მე-5 მუხლის 5.2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში დასაზუსტებელია, რა იგულისხმება ტერმინში „პუბლიკაციები“. აქვე, მართებულია, შიდა ნორმების ნაცვლად მითითება მოხდეს ინფორმაციის გადამცემი მხარის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაზე.

8. პროექტის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტს, მართებულია, დაემატოს შემდეგი ფრაზა: „ამ მემორანდუმის ძალაში შესვლისათვის საჭირო პროცედურების დაცვით“, ხოლო 9.2 პუნქტში, მიზანშეწონილია, დაზუსტდეს, რა იგულისხმება ფრაზაში „შესაბამის დონეზე“.

9. დასკვნით დებულებაში შეთანხმების მხარედ მითითებულ უნდა იქნეს თურქეთის მთავრობაც. ასევე, მართებულია, დასკვნით დებულებაში გათვალისწინებულ იქნეს შესრულების ადგილი, ენა და აუთენტური ტექსტების რაოდენობა.

10. პროექტის ქართულენოვანი ტექსტი გასამართია სტილისტური და მთარგმნელობითი თვალსაზრისით. პროექტის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ტექსტების მე-5 მუხლის ქვეპუნქტების ნუმერაცია შესაბამისობაშია მოსაყვანი ერთმანეთთან.

კონსტანტინე კორკელია
მინისტრის პირველი მოადგილე